



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი; გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 6 თებერვალი 1 1898 წ. № 6



შინაარსი: თფილისის სამეურნეო საზოგადოება ნ. ჟორდანიასი.—სხვა-და-სხვა ამბავი.—კვალის კორესპონდენცია.—კვირიდან კვირამდე.—წერილი ამერიკიდან ა. ამერიკელისა.—დედათა კითხვა (ბ-ნ ე. გაშაკიძის წერილის გამო) ოლ—დასი.—ბიბლიოგრაფია მკითხველისა.—რა მოუვა სოსიკას (შემდეგი).—რედაქციისაგან.—ცუცხო სიტყვების ახსნა.



რედაქციის ადრესი: არწრუნიის ქუჩა კადეტის კორპუსის გვერდით სახლი თამამშოვისა.

ცალკე ნომერი ღირს 15 კ.


## თფილისის სამეურნეო საზოგადოება.

მკითხველს შეიძლება გაეგონოს, რომ თფილისში არსებობს აგრეთ წოდებული „სასოფლო სამეურნეო საზოგადოება“. ეს დაწესებულება ისეთი ნელი და უწყინარი ცხოვრებით მიეჩანჩალება, რომ ის იშვიათათ მიიქცევს ვისიმე ყურადღებას. ის დაუსრულებელი სალათას ძილით არის გარემოცული და თუ ხანდახან თვალებს დააჭყეტს და ხელებსაც აათათურებს, ეს მხოლოთ იმიტომ რომ ისევ უძრაობის საბძანებელში შებრუნდეს და ჩვეულებრივათ თავისი თავი ათრიოს. ერთ შვენიერ საღამოს მწვანე სტოლს შემოუსხდებიან 10—15 კაცი, ერთი მათგანი ადგება და დიდი მოწიწებით წაიკითხავს რასმე ამ სათაურით: „ახალი სისტემის გუთანი“ და მეორე დღეს გაზეთები შეგვატყობინებენ: გუშინ მოხდა სამეურნეო საზოგადოების კრება და წაიკითხეს ეს და ეს. ამ 10—15 კაცის ლაპარაკობიანს თურმე სხდომა ჰქვია, რამაც კავკასიის დაცემული მეურნეობა უნდა აამაღლოს და ააყვავოს! მიზანი მეტათ დიდია, სარბიელი ფრიად ფართოა, სურვილი ძალიან კეთილია; მარა ყველა ამას ერთი უბედურება ახლავს თან: მისი ხმა ისეთი სუსტი და უმნიშვნელოა, რომ სხდომის დარბაზს და გაზეთის ფურცლებს არ გასცილდება ხოლმე. ეს მხოლოთ წესისასრულებაა, თავის-თავის გახსენება და მეტი არაფერი. მარა ესეც ძალიან იშვიათია, 1896 წელს ასეთი ქვეყნის ამშენებელი სხდომა 13 მომხდარა, ე. ი. 365 ღამეში 13 საღამო გაუტარებიათ ერთათ, უმუსაიფოთ, უსაუბროთ და ბოლოს ყველა ეს შეუკრებიათ და ერთ წიგნაკათ გამოუშვიათ, რომელსაც ასეთი ახირებული სახელ-წოდება აქვს: „ანგარიში კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისო“. ვითომ და ძალიან ბევრი რამ ქონდათ საანგარიშო! აქედან ჩვენ მხოლოთ ერთ საინტერესო ამბავს ვტყობილობთ: საზოგადოების წევრთა დიდი უმრავლესობა მეურნენი კი არა, სამსახურში მყოფი მოხელენი ყოფილან. ცხადია, ეს უფრო ჩინოვნიკთა საზოგადოებაა, ვინემ მეურნეთა. და ამიტომაც საქმის მთელი მსვლელობა კანცელარიის ყალიბზე არის დამდგარი. „ანგარიშის“ სიტყვით „ჩვეულებრივი ფორმა მოღვაწეობისა არის განხილვა მოხსენებების სხვა-და-სხვა სამეურნეო საგანზე და მთავრობისათვის გადაცემა გასაცნობათ“, ე. ი., ჩვენებურათ რომ ვთქვათ, ქა-

ლალდის დაწერა, გადაწერა და შენახვა. და ასე „საზოგადოება“ დაარსების დღიდან (1850 წლიდან) წერს, კითხულობს და თაროებზე ინახავს. აი ამ წერა-კითხვაში მდგომარეობს ამ არა მეურნეთა სამეურნეო მოღვაწეობა.

შეიძლება თქვათ ეს უთუოთ წესდების ბრალი იქნებაო. შეცდებით, რიგიან წესდებას რისამე გაკეთება რომ შეეძლოს, ეს საზოგადოება ამდენ ხანს გაკეთებული და აშენებულიც კი იქნებოდა. არც ერთ „საზოგადოებას“ ჩვენში ისეთი სრული და თავისუფალი დებულება არა აქვს, როგორც მას. პირველყოვლისა ის ერთიანათ დამოუკიდებელი დაწესებულებაა, ის არავის არ ემორჩილება და არც არავის არ იმორჩილებს. აქვს განუსაზღვრელი თავისუფლება მსჯელობისა, სხდომების, დაბეჭდვის, კრებისა და სხ. მას შეუძლია პირდაპირ დანიშნოს კომისიები და გზავნოს აგენტები, ქვეყანა შეისწავლოს ეკონომიურათ, სტატისტიკურათ, ტეხნიკურათ, გამართოს მწარმოებელთა ყრილობები, გამოსცეს გაზეთები, წიგნები (ადგილობრივ ენებზეც) და სხ. და სხ. საზოგადოება დამოკიდებულია მხოლოთ ერთ პირზე — ეს მისი თავმჯდომარეა, ხოლო თავმჯდომარე ირჩევა წევრთა მიერ ხმის უმეტესობით. აშკარაა, ეს ერთი დემოკრატიული დაწესებულებაა და თუ ამის ნასახიც მას არ ატყვია, ამის მიზეზი წესდებაში კი არა, წესდების გარეშე უნდა ვეძიოთ. ეს დამარხულია თვით ჩვენ დღევანდელ ცხოვრებაში და არა ამა თუ იმ პირთა სამეურნეო წარმოდგენაში. ჩვენ დღეს იმ ხანაში ვართ, როცა ძველი ეკონომიური ურთიერთობა იშლება და ახალი მყარდება. აქ ჩვენ ერთი ხანიდან მეორე ხანაში გადავდივართ, რაიცა იწვევს მწარე ტკივილებს. ეს პროცესი მეურნეობის დაჩაგვრით და მრეწველობის აღორძინებით წარმოებს. ამისათვის მეურნენი და განსაკუთრებით მათი მებაირაღტრე — სხვილი მემამულენი წუწუნში და მოთქმაში ატარებენ დროს. მათი ლტოლვილება მზამზარეული მორთმევა, მოწყალეობის მიღება და არა საკუთარი ძალ-ღონით თავისი მდგომარეობის გაუმჯობესობა. ისინი კი არ იბრძვიან, არამედ იხვეწებიან, კი არ იკვლევენ, არამედ იცრემლებიან, კი არ ერთდებიან, არამედ იფანტებიან. ისინი მთელ თავის იმედს ამყარებენ არა თავის თავზე, თავის ენერგიაზე, არამედ სულ სხვა გარეშე ძალაზე. სხვის ძიძაობას უფრო ეძებენ, ვინემ თავის თავის თვითონ მოვლას და საკუთარ ფეხზე დადგომას. მათგან გაისმის მხოლოთ გვიშველეთ, გვიპატრონეთ და არა თავის თავს ვუშველოთ, ვუპატრონოთო.

„სამეურნეო საზოგადოებაც“ ასეთ არარაობის ატმოსფერაში იმყოფება, ასეთ დავრდომილთა შემხვედრაა და რაღა გასაკვირველია თითონაც დავრდომილი და დაუძლურებული რომ იყოს. ის არის არა ჩვენი ცხოვრების მიერ წარმოშობილი, ჩვენი საჭიროებების დამაკმაყოფილებელი, არამედ თავზე მოხვეული, გარეთიდან შემოტანილი, ეს ასე ვთქვათ, მეურნეობის თანამგრძნობთა საზოგადოებაა და მეტი არაფერი.

მარა ამ თანამგრძნობლებს, რომელთა შორის მრავალი ნასწავლი ხალხია, ახირებული წარმოდგენა ჰქონებიათ მეურნეობაზე. მათთვის სამეურნეო კითხვა სამეურნეო ტეხნიკის კითხვაა, გაავრცელეთ რიგიანი სამუშაო იარაღები და მეურნეობაც აყვავდებაო. ყოველივე წვრილმანი, როგორც მაგ. ამა თუ იმ მცენარის მოშენება, თაგვების დახოცვა, ყველის გაშინჯვა და სხ. დაუსრულებელ მოხსენებებს და ბჭობას იწვევს. ხოლო ის, რაც მთელ მეურნეობას ეხება, მის არსებით ძარღვს შეადგენს, როგორც მაგ. მიწათ-მფლობელობა, გამიჯვნა, უგზოობა, ბაზრის სიშორე, ნაწარმოების გადატან-გადმოტანა და სხ. ყველა ეს სრულიად უყურადღებოთ არის და წააგავს კრილოვის გმირს, რომელმაც კოლო-ბუზები დაწვრილებით აწერა, ხოლო იქ მდგომი სპილო კი ვერ შენიშნა. დღეს საყოველთაოთ ცნობილია, რომ მეურნეობის გაუკეთესება დამოკიდებულია პირველ ყოვლისა საზოგადო კულტურულ ზომებზე და არა რაღაც წვრილმან ჩხირკედელაობაზე. „სამეურნეო საზოგადოება“, დღეს ასეთ ჩხირკედელაობის სარბიელათ გადაქცეული, შეიძლება ახლო მომავალში ნამდვილ მოსაქმე საზოგადოებათ გადაიქცეს. რამდენათ ჩვენი ეკონომიური ცხოვრება ვითარდება და რთულდება, იმდენათ ჩვენი მეურნენი იძულებული ხდებიან თავისი მდგომარეობის დასაცავათ შეერთდენ, შეკავშირდენ და საერთო ძალ-ღონით იმოქმედონ. წინააღმდეგ ქალაქისა და სამრეწველო კაპიტალისტებისა ჩვენ რომ ამ გზაზე ვართ და ჩქარი ნაბიჯით წინ მივდივართ, სხვა მრავალ საბუთთა შორის, თვით „საზოგადოების“ უკანასკნელი სხდომაც მოწმობს. აქ ამ თვის 16—19 მეთამბაქოეთა ყრილობა მოხდა, (ეს მეორე კრებაა თვით მწარმოებელთა ამ 47 წლის განმავლობაში!), სადაც ერთი მეტათ საგულისხმო მოვლენა გამოირკვა. აქ ორი ჯგუფის ხალხი მოხვდენ ერთმანეთს, სახელდობრ: მეურნე და მექარხნე. მათი ინტერესი ერთმანეთს შეეტაკა და ცაიმართა კამათობა. სოფლელმა იაკუბაშვილმა ქართულ ენაზე წარმოთქვა შემდეგი: ჩვენი გაჭირვება უფულობაა. ვიდრე წინა წლის მოსავალს არ გავყიდით, ახალ წარმოებას ვერ ვიწყებთ. ამიტომ იძულებული ვართ იაფათ მივცეთ თფილისელ მექარხნეებს, ან და ჩამოვიტანოთ და ქალაქის კერძო საწყობში დავყაროთ, რისთვისაც კარგა ბლომა ხარჯს გვაძლევინებენ და სხ. ხოლო თამბაქოს ქარხნის (და

ბიბლიოთეკა

იმავე დროს სხვილი პლანტატორის) წარმომადგენელმა განაცხადა: ჩვენი გაჭირვება და უბედურება ის არის, რომ თამბაქოს შემუშავება სრულიად უვიცთა ხელშია. უმთავრესი ჩვენი შრომა და მეცადინეობა უნდა იყოს ამ შემუშავების გაუკეთესებისაკენ მიმართული, რადგანაც კარგი საქონელი ყოველთვის იპოვის მუშტარს. როგორც ხედავთ ესენი ერთმანეთს აბრალებენ თამბაქოს კრიზისს. მეურნე მექარხნეში ხედავს თავის მტერს და მექარხნე—მეურნეში. სოფელი ქალაქს უჩივის, გვყვლეფავსო და ქალაქი კიდევ სოფელს: უვიცია, ბარბაროსიაო. ეს პაწაწკინტელა შეჯახება გამომხატველია ჩვენი ცხოვრების ძირითადი მიმდინარეობის, ჩვენშიაც, როგორც სხვაგან, ნელ-ნელა ფეხს იდგმენ სხვა-და-სხვა კლასები, რომელთა შორის ინტერესთა წინააღმდეგობაა და მათი ერთმანეთთან შეტაკება ედება საძირკვლათ ჩვენ ურთიერთობას. ეს დღევანდელი შეჯახება წინამორბედია მომავალ კლასთა დიდი შეჯახების და მთელი ჩვენი ცხოვრების განახლების. რამდენათ ჩვენ ამ მხრით ევითარდებით და აქეთკენ სწრაფათ მივექანებით, იმდენათ ჩვენ ვუახლოვდებით ევროპას, იმდენათ ჩვენ ევროპიელდებით. მაშინ „სამეურნეო საზოგადოებასაც“ დაეკარგვის კანცელარიული ელფერი, წვრილმანი ჩხირკედელაობა და მათ ალაგას საქმიანი მოღვაწეობა და ფართო პოლიტიკა-ეკონომიური კითხვები ჩადგება...

ნ. ჟორდანია.

## სხვა-და-სხვა ამბავი.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადაწყვიტა გააუქმოს დაბალ მოქალაქეთა წოდება (МѢЩАНСТВО) და შეუერთოს საერთო მოქალაქეთა წოდებას.

—

ქალაქის გამგეობამ თავის უკანასკნელ კრებაზე დაადგინა წარუდგინოს ქალაქის საბჭოს პროექტი ტფილისში სასტატისტიკო ბიუროს დაარსების შესახებ და თხოვოს, რომ ამ საქმისთვის ამა წლის მეორე ნახევარს გადადებული იქმნას 3,200 მ. ბიუროს შენახვას სულ 7 ათასი მანეთი დაჭირდება, მაგრამ რადგან მისი დაარსება ივლისამდე არ მოხერხდება, ამიტომ გამგეობაც მხოლოთ ნახევარ წლის სამყოფ ხარჯსა თხოულობს.

—

კავკასიის სამთო სამმართველომ დაავალა ცალკე კომისიას შეიმუშაოს წესები (თანახმათ 97 წ. 2 ივნისის კანონისა) შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა იქმნას გაწეს-რიგებული ბაქოს ნავთის წარმოების მუშათა სამუშაო დრო („კასპი“).

—

ქალაქის ერთი საავათმყოფო თურმე ისეა გავსებული ავათმყოფებით, რომ 27 იანვარს უადგილობის გამო უარი უთხრეს 40 ავათმყოფს, თუმცა ამათში ბევრი მძიმეთ ავათმყოფიც ერია. („თფ. ფურც.“)

ეს თვალსაჩინო მაგალითია ქალაქის გამგეთა „მზრუნველობისა“. მაგრამ, ან კი რისთვის აიტკივებენ თავს გამგენი? ქალაქის საავათმყოფოებს უფრო ხომ ღარიბ-ღატაკი ხალხი აწყდება, რომელზედაც ზრუნვა დღევანდელი თვით-მართველობის პროგრამაში არ შედის.

აი კიდევ მეორე მაგალითი: იმავე 27 იანვარს პოლიციის განკარგულებით მიხეილის საავათმყოფოში მიიყვანეს ერთი უთვისტომო, უსახლ-კარო ავათმყოფი ქალი. უადგილობის გამო უარი უთხრეს და ქალი ისევ პოლიციას დაუბრუნეს. პოლიციამ ხელახლა სხვა ქალაქის საავათმყოფოში გაგზავნა; აქ უთხრეს, ჩვენ მხოლოთ ერთნაირი ავათმყოფობით დასნეულებულთ ვღებულობთო. უბედური ქალი კვლავ პოლიციაში წამოიყვანეს და შემდეგ რა უყვეს აღარ ვიცით. ფაქტები თავის თავათ ლაპარაკობენ!

—

ყველამ უწყის, თუ რა განსაცდელში ვარდებიან ხოლმე რიყეს მცხოვრებნი მტკვრის გადიდების დროს. რადგან ქალაქის საბჭომ ვერაფერი ღონის ძიება აღმოუჩინა ქალაქის ამ ნაწილის მცხოვრებლებს, ამიტომ უკანასკნელებმა პირდაპირ ბ-ნ გუბერნატორს მიმართეს თხოვნით. 29 იანვარს ბ.ნმა გუბერნატორმა ინჟინერების თანადასწრებით თითონ დაათვალიერა ეს ადგილი მად.თოვის კუნძულიდან დაწყებული მეორე ავლაბრის ხიდამდე. ამ ჟამათ რიყის მცხოვრებლების დასაცველათ წყალ დიდობისაგან შემდგარია განსაკუთრებითი კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობს თვით გუბერნატორი, და ამ დღეებში გამოიკვლევს ამ საქმეს.

—

აზრათ აქვთ თფილისში გახსნან ფართლეულობის ფაბრიკა, რომლის ძირის ფული ერთ მილიონ ნახევარი მანეთიაო. ასეთივე ფაბრიკა არსდება ბაქოშიაც, რომლის წესდება უმაღლესათ უკვე დამტკიცებულია.

—

ავლაბარში საქალაქო სასწავლებლის დარბაზში იმართება ყოველ კვირა „სახალხო კითხვა“ იქაურ მოსწავლეთათვის და გარეშენიც ბევრნი ესწრებიან. 18 იანვარს ჩვეულებრივათ გაიმართა კითხვა და ხა-

ლხიც ბლომათ დაესწრო. კითხულობდნენ რუსულათ „რა სახის არის დედა-მიწა" და შემდეგ სომხურათ უთარგმნიდნენ დამსწრეთ.

მაგრამ საქმე ის არის რომ უმრავლესობა მსმენელთა იყო ქართველობა, რომელთაც არც ერთი ზემოხსენებული ენა არ ესმოდათ. ესენი უყურებდნენ, ქართულათაც გადაგვითარგმნეთ წაკითხულიო, მაგრამ ყური არავინ ათხოვა. ბევრნი იძულებულნი იყვნენ გულ ნატკენნი წამოსულიყვნენ სახლში. („ივერ".) საინტერესოა ვიცოდეთ რა დააშავა დამსწრეთა უმრავლესობამ, თუ კი უმცირესობის სარგებლობა არ იქნა დავიწყებული?

—

ჩვენებურ თამბაქოს უფრო და უფრო დიდი ბაზარი ეძლევა. პეტერბურგის მექარხნეების აზრით კავკასიის თამბაქო სათათრეთის თამბაქოს არაფრით ჩამოუვარდება. ასე რომ თამბაქოს ფასის აწევას უნდა მოველოდეთ.

—

ბათომიდან გვატყობინებენ: 28 იანვარს ცეცხლი წაეკიდა შახიანცის ნავთის ზავოდს, რამაც ორი კაცი იმსხვერპლა.

—

სამიწათმოქმედო მინისტრის ნება დართვით სქარის სანერგეში დაარსდა კურსები მუშა მებაღეთა მოსამზადებლათ. შეგირდებათ მიიღებენ ყველა წოდების ყმაწვილს 15 წლიდან, უმეტეს ნაწილათ კი იმათ ვისაც გათავებული ექნება პირველ დაწყებითი სკოლა და რუსული ეცოდინება. მიღება ყოველთვის შეიძლება; სწავლა გრძელდება ერთი წელიწადი. მოსწავლენი პრაქტიკულათ გაეცნობიან ამერიკული ვაზის გაშენებას, დამყნას, ვაზის სხვა-და-სხვა გვარ ავათმყოფობას და იმათ წინააღმდეგ ბრძოლას, და აგრეთვე სხვა-და-სხვა სასარგებლო ხეხილის კულტურას. ზამთრობით ყოველსავე ამას თეორიულათაც გააცნობს შეგირდებს.

—

ინგლისელ კაპიტალისტების კომპანიას კასპიის ზღვის ნაპირას რამდენიმე ათასი დესეტინა ადგილი შეუძენია. კომპანიას აზრათ აქვს ააშენოს აქ ხმელი თევზის დასამზადებელი ქარხანა, იქონიოს საკუთარი ნავები ნაწარმოების ზღვით გადასაზიდათ და ამასთანავე შეუერთოს თავის საწარმოვო ადგილი ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზით ყიზლიარს.

—

ტყიბულის ქვა-ნახშირის საზოგადოებას აზრათ აქვს ამ წლის გაზაფხულზე შეაკეთოს საბრიკეტო ქარხნის რამოდენიმე ნაწილი, რომელიც შარშან დაიწვა. ამას გარდა, ამხანაგობამ გადაწყვიტა განახლოს მაღაროებში გაყვანილი მავთულის რკინის გზა და შეუდგეს ქუთაისში თუჯის სადნობ და რკინის [illegible]-თებელ ქარხნების გამართვას.

—

თრიალეთის საბოქაულოს (ბორჩალოს მაზრა) 50 კომლის შუამდგომლობა შესახებ იმისა, რომ ნება მისცემოდათ ყარსის ოლქში გადასახლებულიყვნენ —არ შეუწყნარებიათ.

—

ამ დღეებში სოფ. გლდანელ გლეხს ტყუპი ვაჟი-შვილი ეყოლა. სიხარულის ნაცვლათ, მამა მწარე საგონებელს მიეცა. მას არა აქვს მამული, არა აქვს სახლ-კარი, არ გააჩნია საქონელი. მელოგინე ნოტიო მიწურში ნალზედა წევს შიმშილ-სიცივისა და მწუხარებისაგან არაქათ გამოლეული. იქვე ხუჭჭებში ძლივსა ჰკვნესიან ახლათ დაბადებულები. რომ ვინმე მადლიანი გამოუჩნდებოდეს, გლეხი მზათ არის ორივე ვაჟიშვილი მისცეს და ამით საბრალოები შიმშილით სიკვდილს გადაარჩინოს. („ივერია".)

—

სასჯულო საქმეთა და ფინანსთა მინისტრებს დაუდგენიათ თითო ტუსაღის შენახვაზე დღე-ღამეში იხარჯებოდეს: ქუთაისის გუბერნიის ქალაქებში, სახელდობრ, ქუთაისში—8 კაპ., ფოთში—11 კ., ბათომში—9 კ., სუხუმში—8 კ. და სხვა.

—

ბაღ-ბოსტნეულობის საზოგადოების კავკასიის განყოფილება 1898 წ. 1 თებერვალს საადრეო მწვანილეულობისა, ხილეულობისა და მცენარეულობის გამოფენას ჰმართავს. გამოფენა გასტანს 1—15 თებერვლამდე. ვისაც გამოფენაში მონაწილეობის მიღება სურს, თავისი ნაწარმოები უნდა გაგზავნოს თფილისის საბრეშუმო სადგურში.

## „კვალის" კორესპონდენცია.

ბათომი. გასულ 97 წლის დამლევამდე 88-იდგან ბათომის რამოდენიმე ნაწილი, გოროდოკი, ნოვი სვეტი და ბარცხანა სწორეთ შესაშინებელ სურათს წარმოადგენდა. ვერ გამოერკვეოდი ისე შეგაწუხებდა: არღანი, დაფა ზურნა, მუზიკა, არფიანკებათ წოდებული ქალები, რომელნიც სკრიპკაზე უკრავენ და ჩახრინწიანებული ხმით მღერიან ვინ იცის რის ხმაზე; აქვე შეხვდებოდი თითქმის ყველას თორემ უმეტესობას მაინც ჩალღუხ-ხანჯალ-ტამბაჩა-ჩარევოლვერებულ ყმაწვილებს, რომლის დანახვა შეუჩვეველ თვალს შიშის ზარს მოგვრის და თუ საქმე ხმარებაზე მიდგა მაშინ კი მშვიდობით ცოლო და შვილო... ჩემ ხსოვნაში ბევრი უსიამოვნება მინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხავს უცაბედათ იმ თავიდან-ფეხამდე შეიარაღებულ ყმაწვილებთან შეხვედრით, უფრო ბევრი კი გამიგონია მათ ურიგო ქცევაზე. თუ რაოდენ ფასათ უჯდებათ იმ კოხტა ყმაწვილებს ზემოხსენებული ქცევა და უბრალო მიზეზისთვისაც კი ერთი-მეორესთვის იარაღის დაძგერება, ამის ანგარიშში ჯერ არ შესულან, მხოლოთ დღეს კი ერთი საშვალება თავდებია, რომ ცოტათი მაინც დაუკვირდებიან თავის საქციელს.

ბათომში დღემდე ერთიც არ ყოფილა იმ გვარი რამ დაწესებულება, რომ თავისკენ მიეზიდა ეს აუარებელი ბრბო მუშა ხალხისა და დაეფიქრებინა თავის მდგომარეობაზე, რომ შეესწავლათ დამზოგველობა, ნაყოფიერი შრომა და არ გარყვნილიყვენ ზნეობრივათ.

მაგიერათ ამ რიგიანი საქმისა აუარებელი სამიკიტნო-ლუდხანებია, სადაც რიგიანობის მეტის ყველაფერი სიწამხდრის შესწავლა შეიძლება და სადაც ნივთიერათ ღარიბდებიან ისედაც გალატაკებულნი. გასული წელი დიდი პატივით მოსახსენებელია ბათომელ საზოგადოებისაგან, ამ წელში ბევრ რამ კარგზე ჰქონდათ მსჯელობა, მაგრამ ჯერ-ჯერობით მარტო ორი განახორციელეს, პირველი სავაჟო გიმნაზია, მეორე კი საკვირაო სკოლა ქართულ სასწავლებელში; სხვასაც კი ფიქრობენ რაღაცას, მაგრამ ამაზე შემდეგ, ახლა კი მოვბრუნდეთ ამ ორ დიად სასურველ საქმისაკენ. გიმნაზიის დაარსება თუ რაოდენათ სასარგებლოა, ის ჩემზე უკეთ თქვენ მოგეხსენებათ, იქ ჩემისთანა წვრილ-ფეხი ვერც მიბედავს, მხოლოთ საკვირაო სკოლა კი ღარიბ ხალხისთვის ხელ მისაწვდენია და კიდევაც მინდა ჩემი სიხარული თქვენც გაგიზიაროთ. მღ. მამა სიმონ თოთიბაძემ ითხოვა ნება-რთვა კვირაობით სწავლებაზე ქართულ სკოლაში. ნება დართეს და ოქტომბრის 26-ს გარდაიხადეს პარაკლისი ქართულ სასწავლებელში, რომელსაც დაესწრო დიდძალი საზოგადოება. იქავე იქმნა გამართული ხელის მოწერა სკოლის სასარგებლოთ; მოაგროვეს ას მანეთზე ცოტა მეტი; პარაკლისის შემდეგ გრძნობიერი სიტყვა წარმოთქვა მღ. სიმონმა, სწავლა-განათლების საჭიროებაზე; შემდეგ მღ. სიმონის სიტყვისა ბ. რამიშვილმა მოუწოდა მსურველთ შეგირდათ ჩასაწერათ; იმავე დღეს 40 მდე გამოვაცხადეთ სურვილი; დღეს მეშვიდე კვირაა რაც სწავლა დავიწყეთ და 140-ნი ვართ. მალე მგონი ალაგიც აღარ დარჩეს იმდენია მსურველი. ვინ მოთვლის რამდენი ცვლილებაა ჩვენში მას შემდეგ, რაც შეგირდის სახელით მოვინათლეთ!, წინანდელ თქვენ ნაცნობს, თავით ფეხამდე შეიარაღებულ ვაჟ-კაცს, ხედავთ ახლა საკვირაო სკოლის შეგირდათ, მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ ახლა მარტო ორი იარაღი აქვს ოთხის მაგიერათ, ეს გახლავთ საწერ-კალამი და რვეული ზედ გამოხატული ასოებით. რა არ შეძლებია რიგიან საზოგადოებაში ყოფნას? წინეთ რომ გაბედულნი და მწყრომარე გამომეტყველებით იყვენ ხანჯალზე ხელ დაბჯენილნი, დღეს ცალ ხელ თავ შემოდგმული შეჰყურებენ მასწავლებლის გაკვეთილის ახსნას, ისეთი მშვიდი და წყნარი გამომეტყველებით, რომ ცოდვების მონანებას თხოულობსო, იფიქრებს გარეშე კაცი. მასწავლებელიც დიდი მზრუნველობით ექცევა, თითოეულ სიტყვას ჯერ რიგიანათ ქართულათ აუხსნის, მერმე რუსულათ დაარქმევს სახელს და ამნაირათ ძლიერ გაადვილა რუსულის შესწავლა. ამ გვარათ რომ ესწავლებიათ ჩემთვის სადაც პირველათ მისწავლია, დღეს გვარიანი წერა-კითხვა მეცოდინებოდა, მაგრამ საუბედუროთ ჩემი მასწავლებელი პირადი ანგარიშით გატაცებული უფრო იყო ვინემ მისი ვალდებულებით და გამაზეპირა რაცხა, რომლის ჩამოთვლა აქ ზედ მეტათ მიმაჩნია და არც მინდა ვაწყენიო იმ საპატიო მასწავლებლებს, რომელნიც ამ გვარათ იქცევიან, ე. ი. გააზეპირებიებენ ბავშებს თუთიყუშივით სრულიად უცნობ სიტყვებს, რომლებიც შემდეგ სრულიად ავიწყდებათ.

დიდი მადლობის ღირსნი არიან პატივცემულნი ქ-ნნი და ბ-ნნი მასწავლებელნი, რომელნიც დიდ შრომას ეწევიან მოსწავლეების ზნეობა გონებით ასამაღლებლათ. დასასრულ არ შემიძლია მეორე სასიხარულო ამბავი არ გავუზიარო მკითხველებს. როგორც ნამდვილი წყაროებიდან გავიგე, ამ მოკლე ხანში დაარსდება სახალხო ბიბლიოთეკა ქ-ნ მხეიძის თაოსნობით. ვუსურვოთ კარგი ნიადაგი...

გ—ი ც—შვილი.

## კვირიდან კვირამდე.

ახალი მრწამსი—სულ ფული და ფული—20 საათი—ახირებული ხელ-მომწერნი—მორეული და მომრევლი —საკვირველი დებულება—კენჭობის – მიშს დიდი თვალები აქვს.

საითაც გავიქეცი—იქით წავიქეციო, ნათქვამია, სწორეთ ასეა ჩემი საქმე. საითკენაც უნდა გაიხედო, რასაც უნდა შეხედო—ყოველთვის და ყოველგან ეს თფილისის ბედ-დოვლათიანი საბჭო წინ დაგიხვდება ® შემოგძახებს: აქ გახლავარ, გზას ვერ ამიქცევო. და მართლაც გზას ვერ აუქცევ. ეს ისეთი ბატონი აგვიჩნდა, რომ თითოეული მისი ნაბიჯი ჩვენ

კისერს გადაუვლის ხოლმე და აბა მოდი და გასძელი ხმა ამოუღებლათ. თითოეული მისი მუჯლუკუნი სულ „ვაიმე დედას“ აძახებს მის ყურ-მოჭრილ ქვეშევრდომთ და მაშ რაღა აღვნიშნოთ თუ არ ეს გოდება და წივილ-კივილი. და მერე ვინ არ გოდებს ამ ჩვენ დედა-ქალაქში? მე მგონია ერთათ ერთ განცხრომაში ის ხუთას-ექვსასი მოქალაქეა, რომელმაც ეს ბატონები აგვირჩია და ჩვენ კისერზე დაასკუპა. დანარჩენი კი ვერაფერ სანუგეშო მდგომარეობაშია. აგერ რამდენი ხანია, რომ თფილისის ერთ ნაწილს მტკვარი ანგრევს და აფორიაქებს. მოსალოდნელი იყო თვით საბჭო მიაქცევდა ამას ყურადღებას და გაჭირვებულ მცხოვრებთ დაეხმარებოდა. მარა პლუტოკრატთა მონა-მორჩილთათვის ასე თურმე არ წერია. ბოლოს თვით წყალ-წაღებულებმა მიმართეს: ერთხელ მაინც გამოიჩინეთ გულ-კეთილობა და დაგვიხსენით ამ ყოველ წლიური წარღვნისაგანო. მარა, რადგანაც არც ერთი ხმოსანი ამ უბნის მცხოვრები არ ყოფილა, გადაუწყვეტიათ: რის წარღვნა, რის კიდობანი, ეს რომ მართალი იყოს, ჩვენამდიც ხომ მოაღწევდაო. იცით რომელი უბანია ეს? რასაკვირველია არა ყოველნაირი ფუფუნების ბუდე—სოლოლაკი, არამედ გაჭირვებული და გალატაკებული რიყე. ამის გამო საბჭოს თურმე ახალი მრწამსი შეუდგენია: მრწამს მე ჩემი თავი და უფალი სოლოლაკიო, და ეს თავის დროშაზე უხილავი ასოებით დაუწერია.

* * *

და აბა ამას შემდეგ რაღა გასაკვირველია, ის ყველა გაჭირვებულ დ᾽ წყალ-წაღებულთათვის მხოლოთ ერთი ფერჩხო იყოს, ხოლო შეძლებულ და ღონიერთათვის კი უებარი გზა და ხიდი. მთელი ქალაქი მისი მოხარკეა და მერე რა ნაირი მოხარკე! ვინც უფრო ღარიბია, მას უფრო ახდევინებენ და თანაც მის ზურგზე ბუქნას გადადიან. ასე გაშინჯეთ, რიყის ანგრეულ-დანგრეულ სახლებზედაც იმდენ ხარჯს იღებენ, რამდენსაც სოლოლაკის სასახლეებზე. ეს მოუსვენარი რიყელებიც თავისას არ იშლიან. შეიძლება თხოვნით და მუხლ-მოდრეკით საბჭოს გული მოვულბოთ და გადასახადი დაგვიკლონო. მარა ამაოთ, საბჭო პასუხათ გაიძახის: სულ ფული და ფულიო. და მერე საიდან არ აძვრენენ ამ ფულს! სწორეთ იქიდან, სადაც ერთი გროშიც არ მოიპოვება! ჰოი სასწაულმოქმედებავ საბჭოსავ! ისეთი ქოხებიც კი, რომლის ღირებულება ხუთას მანეთს არ აღემატება და ყველა გაწესრიგებულ ქალაქში გადასახადისაგან თავისუფალია, ჩვენი საბჭოს გამდიდრების წყაროა, ეს მისი გადასალაჯავი დაბალი ღობეა. მარა მოგეხსენებათ, ასეთი ჯიბე-ცარიელი გადამხდელი ვერაფერი გადამხდელია, ხოლო საბჭო კი სულ ფული და ფულიო გაიძახის. დ᾽ აი კიდევაც გამოუგონია ბრძანება: გამოუცხადეთ ქალაქის მცხოვრებთ ვიზედაც დარჩენილია გადასახადი, ყველაფერს ავუწერთ, გავუყიდით და ძალათ გადავახდევინებთო. აი ეს გახლავს ქალაქის თვით მართველობის „უქაზი“ მის ღარიბ ქვეშევრდომთა მიმართ.

* * *

ქალაქის საბჭო ამით არის კმაყოფილი. ის, როგორც იცით, კაპიტალისტთა კრებულია, და მაშასადამე, რაღა გასაკვირველია, ის საერთოთ ერთ დიდ კაპიტალისტს წარმოადგენდეს და თავის მუშებსაც ყვლეფდეს. მან 26 იანვრის სხდომაზე თავის თავს ერთი ხათაბალა აუტეხა. რაღაც უცაბედათ წამოაყენა ყველას საფრთხუნალი рабочій вопросъ—მუშათა კითხვა და კინაღამ ჯვარს აცვა და თვითონაც მასთან ერთათ ჯვარს ეცვა. აქ გამოჩნდა რომ ქალაქის მუშები ისეთ პირობებშია, როგორშიაც ოდესმე რომის მონები და ბატონის ყმები იყვენ. არ გჯერათ? მაშ მოისმინეთ:

გამგ. წევრი თ. არღუთინსკი-დოლგორუკი: საფინანსო კომისიამ ნამდვილზე კიდევ ნაკლები თქვა, როცა განაცხადა: საყასბოს მუშები დღეში 15 საათს მუშაობენო, ნამდვილათ კი 18—20 საათს მუშაობენ და ისე იქანცებიან, რომ წასვლის ღონეც არ აქვთ და ხშირათ იქავე დაკლულ ცხოველთა სისხლში ეცემიან და იძინებენ. აგრეთვე, მიკროსკოპიტებიც 8—12 საათს მუშაობენ და ასე დაღალულებმა რასაკვირველია, შეიძლება ტრიხინებიც ვერ შეამჩნიონ და ხალხის ჯანმრთელობა მოიწამლოს.

ევანგულოვი (ა. ბ.): საფინანსო კომისიამ თავისი შენიშვნები შეამსუბუქა იმიტომ რომ სირცხვილი იყო ყველა ის ფაქტები გამოეაშკარავებია, რაც მან საყასბოში ნახა.

წევრი გამგ. ხოსროევი: გამგეობამ სრულებით არ იცოდა მუშათა ასეთი მდგომარეობა.

წევრი გამგ. არღუთინსკი-დოლგორუკი: როგორ არ იცოდა, გამგეობამ ყველაფერი იცოდა და თითოეულ მუშაზე ვაჭრობდა.

ხოსროევი: კი მარა, რატომ ასეთ ყურადღებას აქცევთ მარტო საყასბოს მუშებს, განა სხვა ჩვენი მუშები არ მუშაობენ 12 (?!) საათს? მარა ამათზე ხომ არავინარას ამბობს?

და მართლა რატომ არავინ არას ამბობს?

აი რა საშინელი ამბები ხდება საბჭოს ნება-დართვით და ლოცვა-კურთხევით. 20 საათის სამუშაო დღე! ეს განა დღეს შეიძლება სადმე მოხდეს? ეს განა ყოველივე ადამიანობის და კაცთმოყვარეობის ფეხით გასრესა არ არის. ვინ იცის რამდენი ასეთი ცა-

რცვა-გლეჯაა საბჭოს კალთებ ქვეშ დ რჩება გამოუმჟღავნებელი.

***

და მერე რატომ ხდება ყოველივე ეს? ფულის, ხელ-მომჭირნეობისათვისო, გვეუბნება საბჭო. ნამდვილია ეს? მართლა ხელ-მომჭირნეა? ამის პასუხს იგივე სხდომა გვაძლევს. გამგეობამ მოთხოვა 75 ათასი მანეთი სესხი ავჭალის წყლის აუზის გასაფართოებლათ. ხმოსან კიუჩარიანცმა განაცხადა: ამოდენა ფული ასე უცებ მოკცეთ შეუძლებელია, ჯერ გაგვაცანით დაწვრილებით თქვენი პროექტი და მერე ვიბაასოთო. მარა ეს დარჩა უყურადღებოთ. საბჭომ ერთხმათ მიიღო გამგეობის მოხსენება იმ განსხვავებით, რომ ნათხოვარი ფულის მაგიერ 55 ათასი მისცეს. აი ასე, რამდენსამე წუთის განმავლობაში სავნის გაუცნობლათ ამოდენა ფული ავჭალის წყალში ჩაყარეს! ეს არის დაზოგვა, ხელ-მომჭირნეობა? ამიტომ ყვლეფენ მუშებს, აწიოკებენ ღარიბებს, წყალს ატანენ მცხოვრებთ? დიახ ყველა ეს ამიტომ არის. ჩანს, ქალაქი ყოფილა გაჩენილი საბჭოსთვის და არა საბჭო ქალაქისათვის და ყველა ამაში ერთათ მოქმედებს საბჭო და გამგეობა, „ოპოზიცია“ და კონსერვატორი, ვაჭარი და „პროგრესისტი“. ჰმ! ეა პროგრესი, პროგრესი! ეს ცარცვა-გლეჯის პროგრესი, ეს პროგრესია ცარცვა-გლეჯა!

***

თფილისის საბჭოს არც ბაქოს და ბათომის კაპიტალისტები ჩამოურჩებიან. აქ საჭიროთ ხდება ის, რასაც თფილისის საბჭო ასე აფარებს ხელს, აქ ისმის მხოლოთ ერთი ყვირილი არიქა ვინ ხარ მამაციო და იმართვის ერთი ხელ-ჩართული ბრძოლა; ყველა ერთმანეთს ებრძვის და ყველა ფულისთვის იბრძვის. ამ საერთო არეულობაში რამდენი ფეხით ისრისება, რამდენს უბედური შემთხვევა იმსხვერპლებს, რამდენი დასახიჩრდება — ყველა ამას საზღვარი არა აქვს. ასე გაშინჯეთ, იქ, სადაც მილიონები იშოვება, ჯერ არავითარი მეთვალ-ყურე და ადამიანის უსაზღვრო ყვლეფისგან დამცველი არ არის. ყველაფერი მექარხნეთა ანაბარათაა მიშვებული, როგორც გსურდეს ისე სწირე და ილოცეო. ხოლო ამათ დაუდევრობით სკდება ნავთის აუზი, ჩნდება ცეცხლი და მრავალი მუშა ეთხოვება წუთისოფელს. მერე ვინ არის მათი ცოლშვილის პატრონი? არავინ. ხოლო ამათი დაჩაგვრის მიზეზი ქისას ისქელებს და ისქელებს. გასული კვირის დიდი ცეცხლი ბაქოში და ამ კვირის (28 იანვრის) ცეცხლი ბათომში აი ასეთი ალვირ ახსნილი ექსპლოატაციის ნაყოფია.

თუ ნავთის წარმოებაში არავითარი წეს-რიგი და მეთვალ-ყურეობა არ არსებობს, სამაგიეროთ რკინის გზის სახელოსნოებში ასეთი წეს-რიგი უკიდურეს ხარისხამდი ყოფილა მიყვანილი. ყველა ეს წესები მოუქცევიათ ერთ წიგნში და სახელათ „დეპოს სახელოსნოების დებულება“ დაურქმევიათ. „ახ. მიმ.“ სიტყვით აი რა საშინელი ამბები წერებულა ამ წიგნში: სამუშაო დღე 10 საათია, მარა მუშები ვალდებულია, თუ უფროსი მოითხოვს, იმუშაონ ათ საათზე მეტიც და თუ საჭიროა ღამითაც, კვირეს და დღესასწაულებზედაც. ჯარიმა გადახდება ოსტატის დაუკითხავათ გარეთ გასვლისათვის, დასვენების დროს ჩაუქრობელ ლამპის დატოვებისთვის, იმ კარებით შემოსვლისთვის, რომელიც ამისთვის არ არის დანიშნული, გარეშე პირის შემოყვანის ან და მასთან ლაპარაკისთვის და სხ. და სხ. სულ ჯარიმა, ჯარიმა და ჯარიმა. ხოლო ის კი არ ჩანს, თუ რამე რჩება მუშას ამდენ ჯარიმას შემდეგ.

***

დასაჯარიმებელი თუ ვინმეა, ისევ ქუთაისის საბჭო უნდა იყოს. ყველამ იცის რომ იქ თვით-მართველობაა, მარა ძალიან საეჭვოა ვინმემ იცოდეს, აკეთებს რასმე თუ არა. ქუთაისი პატრიარქალური ქალაქია, იქ ყველაფერი შინაურულათ, მეზობლურათ რიგდება. ზოგიერთი პოლიციელიც საკადრისი ჰყოლია ქუთაისს, ყალბ ფულის საქმეს ისე აუბნევია პრისტავი, მისი თანაშემწე და სხვები რომ ზოგი მათგანი ბრალდებულის სკამზე წამოსკუპებულა, ზოგიც კიდევ ბრალ მდებელის. აი პოლიციელთა არკადია! მარა ქუთაისი ამაებისთვის არ იწუხებს თავს. ერთათ ერთი ყვირილი და თავის ტეხა იქ მხოლოთ არჩევნების დროს არის, მარა ამ დროს ყვირიან არა რამე საქმის შესახებ, არამედ „კენჭი, კენჭიო“! ქუთათურისათვის ერთათ ერთი საქმიანობა „კენჭობიაა“. აი ახლაც მოაღწია ხმამ, რომ ქუთაისის ხმოსნები მომავალ კენჭობიას მეუდგენო. მადლობა ღმერთს! გამოღვიძებულან, მარა ის კი არ ვიცი თუ რით გაიმართლებენ თავს ამდენ უმოქმედობით. შეიძლება კიდევ მოქალაქეთა წინაშე პირნათლათ გამოვიდენ, ჩვენც იმას ვაკეთებდით რასაც თქვენო, ე. ი. ლაპარაკობიანასო, მარა პაწია ბავშებს რაღას ეტყვიან, ალარ ვიცი, ეს საბრალონი შეუმწყვდევიათ საქალაქო პირველ დაწყებით სკოლაში, სადაც თურმე წვიმს და თოვს ისე როგორც გარეთ. საბჭო კი ამის შესახებ ყურსაც არ იბერტყს. აი ამას უწოდებენ თურმე ქუთაისში სწავლა-განათლების შესახებ ზრუნვას.

***

ეს სახალხო სკოლა მაინც ყველგან აბუჩათ

ყოფილა აგდებული. აი მაგ. განაწესეს მასწავლებელი რომელსამე სოფელში, ის შრომობს, სკოლას ფეხზე აყენებს, გავლენას იძენს, საცაა ერთ კლასიანი სკოლა ორ კლასიანათაც გადააკეთოს და... მეორე მაზრაში გადაჰყავეთ. ახლა აქაც იწყებს იმავე საქმეს, იმეორებს ამავე პროცესს და... აქედან ადვილი წარმოსადგენია ჩოხატაურელების ჩივილი, მასწავლებელი სწორედ მაშინ გადაიყვანეს, როცა მისი თაოსნობით ორ კლასიანი სკოლა შენდებოდა და ახლა საქმე ჩაიშალაო. მარა ამაში, ღვთის წინაშე, თვით მასწავლებელნიც კია დამნაშავე. ამათ დაფეთებას საზღვარი არ აქვს. არამკითხე რევიზორობას, ჩვენ გვეგონა, მარტო გოგოლის „რევიზორი“ ასრულებდა და თურმე, ნუ იტყვით, იგივე განმეორდა ისეთ დარბაისელ სოფელში, როგორც ლანჩხუთია. აქაურ მასწავლებლებს ამ დღეებში გამოცხადებია ვიღაც „რევიზორი“ და დიდი პატივით მიუღიათ და გაუსტუმრებიათ. თურმე ეს ახალი ხლესტაკოვი უბრალო ქუჩის მაწანწალა ყოფილა. აბა მოდით და ნუ იტყვით: შიშს დიდი თვალები აქვსო.

## წერილი ამერიკიდან.

არჩევნების დრო ნიუ-იორკში. „აქამდის სად ბრძანდებოდი, დღეს რომ გვაძლევ შარშანდელ ძველ უკვე გახუნებულ ამბებს ხელშიო“, იქნება ამ სიტყვებით გვისაყვედუროს მკითხველმა. მართალიც ბრძანდებით. მაგრამ სანამ წერილის დანიშნულების შესრულებას შევუდგებოდეთ, თავს ნებას მივცემთ, რამდენიმე სიტყვით მოგახსენოთ მიზეზი წერილის დაგვიანებისა. საქმე იმაში გახლავთ ბ.ბ., რომ როცა ჩვენ დალოცვილ საქართველოში ვცხოვრობდი, ერთხელაც არ მიფიქრია მწერლობისათვის მომეკიდა ხელი; ან როგორ ღმერთი გამიწყრებოდა და როგორ გავბედავდი დაუბანელი, ჭუჭყიანი ხელი შემეხო ამ წმიდათა წმიდათათვის და შეურაცყოფა მიმეყენებია მეცნიერება-მწერლობისათვის. მაგრამ მუხთალმა ბედმა მომაშორა ჩვენ საყვარელ, კოხტა პაწია სამშობლოს და გადმომტყორცნა აქეთ, უცხო მხარეს, სადაც, აგრეთ წოდებულ ამერიკაში. ჰმ!.. ამერიკა! ამერიკა! რას არ გაფიქრებინებს, რას არ გაგაბედვინებს, რაზე არ მოგაკიდებინებს ხელს ამერიკა?!. წარმოიდგინეთ მკითხველო ნახევარი წლის მეტი არ არის რაც ამერიკაში ვარ და ამ ხნის განმავლობაში თუ არ მეტს, ერთ „დიუჟინ“ სხვა-და-სხვა საქმეებს მაინც მოვკიდე ხელი, მაგრამ იმ გვარ საქმეებს, რომელთა არც თავი გამეგებოდა, არც ბოლო; რომელთა ხელის მოკიდება ჩემ დღეში არ მიფიქრია, არც ცხადათ და არც სიზმრათ არ მომლანდებია. რასაკვირველია, როგორც გაბუტული მუშა, ხანგრძლივათ ვერსად იკიდებ ფეხს; ყოველ ადგილიდან შემდეგ ზრდილობიან სიტყვებით გისტუმრებენ: „ეს ხელობა არც თქვენ გაძლევსთ ხეირს და ჩვენც ადგილი უსარგებლოთ გვიცდება, თუ შეიძლებოდეს სხვაგან მიბრძანდით, სხვაგან ეძიეთ უკეთესი ადგილიო“ ამას შემდეგ იძულებული ხდები ადგილი დაუთმო უფრო დახელოვნებულ, გამოწაფულ მუშას, რომლის ნამუშევრისაგან კაპიტალისტს უფრო მსხვილი, მსუქანი ლუკმა ერგება და შენ კი ახალი ადგილის საძებრათ იარო ქუჩა-ქუჩა ქარხნიდან-ქარხანამდის, ქალაქიდან ქალაქამდის და ბოლო დროს კი შტატიდან-შტატამდის. ათასში ერთხელ შეიძლება მიზანს მიაღწიო და რამე ადგილი იპოვო, უმეტესათ კი ამაო ძებნისაგან დაღალულ დაქანცული მიჯდები სადმე და, თუ ძილი არ მოგერია, ფიქრი გიტაცებს. ფიქრობ: რომ ებღაუჭები სხვა-და-სხვა საქმეებს, რომელთა არა გაგეგებარა, რომელთა შესასრულებლათ არც ძალი შეგწევს, არც ღონე, არც ცოდნა-გამოცდილება, რასაკვირველია ყველგან დამარცხდები. და ნუ თუ ამოდენა კაცი გაზდილხარ და არა რა იარაღით არ აღჭურვილხარ თვით არსებობისათვის საბრძოლველათ?.. რისთვის შეგიწირავს ამდენი გავლილი დრო? ნუ თუ მუქთათ, უსაქმოთ გაგიტარებია, ან რომელიმე ცხოვრების ასპარეზზე ემზადებოდი?! ამ გვარათ ეკითხები შენვე შენ თავს, რასაც ცოტა არ იყოს ყოყოჩური, ამპარტავნული (ჰმ! ამპარტავნული!) პასუხი მოსდევს. როგორ თუ უსაქმოთ გამიტარებია დრო! როგორ თუ ცხოვრების ასპარეზზე არ ვემზადებოდი! და მერე როგორ ასპარეზზე?! განა დაგავიწყდა ის კეთილნი, სწავლულნი, ცოდნა მეცნიერებით აღჭურვილნი, გონებით განვითარებულ-განსპეტაკებულნი (მართლაც განსპეტაკებულნი.) მასწავლებელნი, რომელთა ხელში გაირა შენმა ცხოვრებამ ბავშობიდან დღევანდლამდის? და რომელთა ცდა, ზრუნვა მხოლოთ იმაში მდგომარეობდა, რომ შენთვის მოეცათ სწავლა განათლება?. და მერე არ შევძინეს, თუ?!. განა მათ არ შეკასწავლეს „დედა-ენა“ გოგებაშვილისა, განა მათ არ გაზეპირებიეს „ტექსტები“, განა მათ არ გაზეპირებიეს ისტორია, უკეთ რომ ვთქვათ ხრონოლოგია ილოვაისკისა და სხვა ამნაირი?..დიახ, ეს ზემოთ ჩამოთვლილი მეცნიერებანი არამც თუ ასე ერთნაირათ ზეზეურათ შეგვისწავლია, არამედ, რაც უფრო საყურადღებოა, მაგრათ ჩაგიკბილავს, როგორც სემინარისტები იტყვიან ხოლმე. ნუ თუ ეს ყველაფერი დაგავიწყდა და მადლიერი არა ხარ წარსულისა?! ესაყვედურები შენვე შენ თავს და ისევ ფიქრობ... ამ გვარი სწავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლული, მეცნიერებით აღჭურვილი, განათლებული კაცი ამერიკაში ხარ, სადაც ბევრ რასმე ხედავ რაც არ გინახავს, ბევრი რამ გესმის რაც არ გსმენია, სულ სხვა, ჭრაელ-ფეროვან ცხოვრებას, წეს-წყობილებას, მიმართულებას ხედავ, ერთი სიტყვით სულ სხვა საზოგადოებაში ტრიალებ და განა რა უშავს, კარგი არ იქნება, ხან და ხან, დრო გამოშვებით, მოცლილ დროს მაინც აქ ნახულ-გაგონილი გაუზიარო თანამემამულეთ. განა კარგი არ იქნება, ეს მართლაც ყოველი მხრით შესანიშნავი, წინ წასული და ქართველებისთვის უცნობი ქვეყანა ცოტათი მაინც გააცნო ქართველ მკითხველებს?—ჰმ. მოგეცათ ღვთისწყალობა კარგი, ჩინებული აზრი იყოს, მაგრამ შეძლებ თუ არა?—აი კითხვა რა არის. ოჰ! დალახვროს ღმერთმა ეს შიში, გაუბედაობა; ნეტავ რა არის აქ საშიში?! ნუ თუ ამ მჩატე კალმის ხელში აღება ასე ძნელია?! ნუ თუ კალმის ხელში ასაღებათ ზემოთ ჩამოთვლილი მეცნიერებანი არ კმარა?!—ეტყობა რომ არ კმარა, ჩამომძახა ვიღაცამ. მაგრამ, რაც უნდა იყოს, დღეიდან გავბედავთ, ვიღაცას, ჩამოძახილს მხედველობაში ვიქონიებთ და ამერიკელებისა არ იყოს: „evry thing try“ (ყველაფერი სცადე) ჩვენც ვცდით. ამიტომ ამ წერილში მსურს მკითხველთ გადავცე რამ საზოგადოთ არჩევნების დროის შესახებ და განსაკუთრებით პრეზიდენტის არჩევნების შესახებ. მართალია, ძველი ამბავია, მაგრამ, ამერიკელთათვის და არა ქართველ მკითხველთათვის. ესეც არ იყოს იმავე სურათს შეხვდებოდით წარსულ თვეებში, როცა გაცხარებული იყო ქალაქის არჩევნები.

დადგება არჩევნების დრო თუ არა, ნიუ-იორკი ფერს იცვლის, სულ სხვა სახეს მიიღებს: უამისოთაც ციებ-ცხელებასავით მოძრაობა ორკეცდება; ატყდება ერთი შფოთი, ალიაქოთი, გამწვავებული ბრძოლა სხვა-და-სხვა პარტიათა შორის. კაცი, ქალი, მოხუცი, ახალგაზდა, მუშა, ბურჟუა, ნასწავლი, უსწავლელი ყველა დაინტერესებულია საზოგადო საქმით, ყველა გამსჭვალულია ერთი და იმავე აზრით, ფიქრით, ყველას წინ უდევს გასარჩევათ ერთი და იგივე საკითხი და ეს საკითხია—თუ ვინ ჯობია, ვინ უნდა აირჩიონ და ვის აირჩევენ პრეზიდენტის არჩევანის დროს—პრეზიდენტათ და ქალაქის არჩევნის დროს—ქალაქის მეთაურათ და სხვა და-სხვა მოხელეებათ. გამოყოფენ თავს სამოქმედოთ სხვა-და-სხვა პარტიები, რომელთა შორის სამი პარტიაა უფრო მძლავრი და საყურადღებოა: რესპუბლიკანელნი, დემოკრატნი და სოციალისტები ან შეგნებული მუშათა პარტია, ან როგორც აქ უწოდებენ social labour party. ყოველი მათგანი წინ და წინ ირჩევს საკუთარ კანდიდატებს და ყოველ ღონის ძიებას ხმარობს, რამე ნაირათ არჩეულ იქმნას მისგან დანიშნული კანდიდატები, რაისათვის შეუწყვეტლივ, დაუღალავათ ეწევიან პროპაგანდა—აგიტაციას ხალხში, მართვენ ურიცხვ მიტინგებს, „მაჩებს“ და სხვა და სხვა...

დავიწყოთ „მაჩებით“. საზოგადოთ მაჩები ძლიერ ხშირია ამერიკაში და განსაკუთრებით—ურიცხვია არჩევნების დროს. და ამიტომ მეტი არ იქნება, რომ მოკლეთ გავაცნო მკითხველებს „მაჩი“. თითქმის ყოველ დღე იმართება არჩევნების დროს პარტიებისაგან სხვა-და-სხვა ქუჩებზე მაჩები, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ერთათ თავს იყრიან ასობით, ხანდახან ათასობით რომელიმე პარტიის მომხრენი, ეწყობიან რიგზე და ბაირაღებით, მუზიკით, სიმღერით, ურას ყვირილით დადიან ქუჩა-ქუჩა. ნიმუშათ მოკლეთ ავწერთ ორ დიდ „მაჩს“—ერთს რესპუბლიკანელთა პარტიისაგან გამართულს და მეორეს—შეგნებულ მუშებთა პარტიისაგან.

რესპუბლიკანელთა მაჩი მოხდა არჩევნის რამდენსამე დღის წინეთ ერთ უდიდეს და უმდიდრეს ქუჩა Broad-way-ზე, რომელმაც შემდეგ ნაირათ ჩაიარა: მაჩი დაიწყო დილის ათ საათზე, პირველათ გამოვიდენ კაპიტალისტები—მილიონერები, ან როგორც აქ უწოდებენ boss-ები, (ალა) რასაკვირველია ოქრო ვერცხლით მდიდრულათ მორთულ-მოკაზმულ კარეტებში. ბოსებს (ალებს) წინ მიუძღოდათ მემუსიკე—მედროშენი; ალებს შემდეგაც მწყობრათ რიგზე ათი კაცი, კოხტათ ჩაცმულ-დახურული მუშები. მუშები დაყოფილნი იყვენ დას დასებათ, იმის და მიხედვით თუ რომელი უბნის და რის მოხელენია. თითოეულ დასს წინ მიუძღოდა ერთი მეთვალყურე მხრებზე ფართო წითელი ლენტით, და თვალ-ყურს ადევნებდა მემაჩეთა წეს-რიგს. მეთვალყურეს შემდეგ ნაციონალური დროშა და სხვა-და-სხვა დროშები სხვა-და-სხვა წარწერით. ერთი მათგანი უსათუოთ აღნიშნავდა მუშების ხელობას. მედროშეთ მოსდევდენ მემუსიკენი. ნაირ-ნაირათ წითელ-ყვითელ-ლურჯ ფრაკებში გამოწყობილნი, მხრებზე სირმის ჯინჯილებით, თავზე მაღალი გძელი ბეწვებიანი ქუდებით და განუწყვეტლივ მუსიკის კვრით, მემუსიკეთ—რიგზე დაწყობილი მუშები. მემაჩეთ, ალებიდან დაწყებულნი მათ მაღალ ცილინდრ-ფრაკოსან კუჩრებითურთ, მემუსიკეთ და მუშებთ, გულზე, ზურგზე, ქუდებზე აკერიათ მიკენლის სურათები. ხელში უკავიათ, საჩხრიალებელი და გაცხარებით გაჰყვირიან „ურა მიკენლის“. ზოგიერთთ უკავიათ სპილოს, ლორის თავის, ან აქლემის და ან სხვა რამ კარიკატურული სურათი გძელ ჯოხებზე გამართული წარწერით, დემოკრატთა კანდიდატი ბრაინი. ეს მაყურებელთა შორის სიცილს, ტაშს იწვევს. აი ამ გვარათ დაწყობილნი მემაჩენი მუსი-

კის კვრით, ურას ყვირილით ერთი ერთმანეთს რიგი-რიგზე მოსდევდენ განუწყვეტლივ დილის ათ საათიდან ექვს საათამდის, მეშაჩეთა რიცხვი როგორც ანბობდენ აღემატებოდა ხუთას ათას კაცს, მაყურებელთა ტევა არ იყო ქუჩებში. ყველგან მუშაობა შეწყვეტილია, მთელი ნიუიორკი ამ ერთ ქუჩაშია თავმოყრილი სეირის საყურებლათ. უზარმაზარი 12, 18, და უფრო მეტი სართულიანი შენობის ფანჯრები, კარები, ბალკონები და სართულები გაჭედილია ხალხით, რომელნიც თვალ უწვდენელ შენობებიდან მუშტის ტოლათ მოჩანან და ძლივსღა მოისმის მათი ყვირილი. დიდს, პატარას, მოხუცს, ახალგაზდას, ქალს, კაცს, როგორც მეშაჩეთ, აგრეთვე მაყურებელთ ყველას ხელში უკავია პატარა ბაირაღები, რომელთ განუწყვეტლივ აფრიალებენ ურას ყვირილით. აგრეთვე ყველას უკავია საჩხრიალებელი, ჩვენში ბავშები ყვავის საფრთხობელას რომ აკეთებენ იმ გვარი, მაგრამ კოხტათ ამერიკელთა საკადრისათ გაკეთებულნი; აგრეთვე ყველას უკავია საყვირი, მამლაყინწასავით საყივლებელი და სხვადასხვა გვარი უცნაური საჩხაველ-საყვირ-საწრიპინებელი, რომელთაც განუწყვეტლივ აჩხრიალებ-აწრიპინებენ. უმრავლესთ მეტი ურას ყვირილით ხმა ჩახრენწიათ და ყვირილის ნაცვლათ ქესტს ან ყუთებს აბრახუნებენ. ქალები ნაზათ გაიძახიან ურას და თეთრ ცხვირსახოცებს, აფრიალებენ. მაღაზიები მორთულია ბაირაღებით, მიკენლის სურათებით. თუმც ვაჭრობა მაღაზიებში შეწყვეტილი იყო, მაგრამ არც ქუჩებში იყო ნაკლები ვაჭრობა იმ დღეს გამართული. ზოგი ხილს ჰყიდდა, ზოგი ბრაინის, ან მიკენლის სურათებს. უნდა შევნიშნოთ რომ არჩევნების წინეთ, კანდიდატების სურათები ბევრი საღდება. ყველას ჩვეულებათ აქვს გადაქცეული თავის კანდიდატის სურათი სახლში იქონიოს, გულზე დაიკეროს, მაღაზიების ფანჯრებზე გამოაფინოს და სხ.

ამიტომ ძალიან ადვილათ შეგიძლია გაიგო თუ ვინ რომელ პარტიას ეკუთვნის. შეხედე გულზე და, თუ დემოკრატია, უსათუოთ დემოკრატთა კანდიდატის სურათი აკერია, რესპუბლიკანელთ—რესპუბლიკანელის; ზოგი დაათრევს გძელ ფიცრებს და საჯდომ სადგომათ აქირავებს. ზოგან მაღაზიების წინ გაუმართავთ გალერეია საჯდომათ და გაცხარებით „გაჰყვირიან“ 25—50—სენტია საჯდომიო. ბევრი ქირაობს და მოსვენებით გასცქერის პროცესიას. აი ამ გვარ რიგზე სიარულში, მუსიკათა გრიალში, ურას ყვირილში მდგომარეობს მაჩი. სხვას არ ვიცი რა მოუვიდოდა ჩემ ადგილზე ამ სურათის შემცქერს და მე კი პირველათ გამაკვირვა, გამაოცა. ჩემი თავი სადმე საგიჟეთში მეგონა და არა განათლებულ ნიუ-იორკში. ყველა გიჟათ—გადარეულათ მეჩვენებოდა. სისულელეს მეტს ვერას ვხედავდი ამ აღელვებულ [illegible] მოძრაობაში და ჟივილ-ყვირილში. თქვენ, მკითხველო, არ ვიცი რას იტყვით ამაზე, მაგრამ რაც შეეხება ამერიკელებს- ესენი კი დიდ ყურადღებას აქცევენ ამ გვარ მაჩებს. ყოველი პარტია მაჩს ანგარიშის თვალით უყურებს და არა მარტო როგორც გასართობ საგანს. მაჩი თავისებური აგიტაციაა, პროპაგანდაა, ეს პარტიის განცხადებაა. ამით პარტია საზოგადოებას თავს აცნობს, ამით იჩენს თავის ძალას, ამით საზოგადოებას ეუბნება: ვერა ხედავთ, მძლავრი ვართ, რამდენი მომხრე გვყავსო?—მოდი შენც შემოგვიერთდი და გაათეთრე ჩვენგან წამოყენებული კანდიდატიო!—

აი ამ გვარ მნიშვნელობას აძლევენ მაჩებს ამერიკელები, რაისათვის ათასობით კი არა, მილიონობით ხარჯვენ შეძლებულთა პარტიები. როგორც ამბობდენ, ზემოთ აწერილი მაჩი რესპუბლიკანელებთ მილიონ დოლარზე მეტი დაუჯდათ. კარგი ფულია, მკითხველო, მილიონი დოლარი ე. ი. ორი მილიონი მანეთი, არა? ჩვენ, ქართველებს, რომ გვქონდეს ამდენი ფული, რასაკვირველია სისულელეში, მაჩებში, როდი დავხარჯავდით... ოჰ! რა ეშხიანათ შემოვძახებდით ორთა-ჭალაში—ღვინოვ კახურო ვარ შენი მსმელი და სხვა...

ს. ამერიკელი.

(შემდეგი იქნება)

## დედათა კითხვა.

(ბ. ქ. ვაშაკიძის წერილის გამო)

### 1. დედათა კითხვა და დედათა ნიჭი.

აგერ ორი წელიწადი გადის მას შემდეგ, რაც ქართველ ქალებს მოძღვრათ ცნობილი პლებსი მოევლინათ. იმედია გემახსოვრებათ, თუ რაში იყო დედა აზრი ბ. პლებსის შესანიშნავი მოძღვრებისა. თვის მოძღვრებას იგი ამყარებდა იმ ვითომდა ცხად ჭეშმარიტებაზე, რომ ერთათ ერთ სამოქმედო ასპარეზათ ქართველ ქალს ისტორიამ ოჯახი არგუნა, ამიტომაც, გვასწავლიდა იგი, უკუაგდეთ რაღაც უცნაური სურვილი განკაცებისა, დაუბრუნდით ოჯახს, მოიკალათეთ მის ჭერ ქვეშ და შეუდექით თქვენი პირდაპირი მოვალეობის აღსრულებას: აღამაღლეთ და განამტკიცეთ ზნეობრივი მხარე მოზარდი თაობისა, აღადგინეთ ქონებრივათ დაცემული სახლ-კარი და სხვა... ბ. პლებსის მოძღვრებას რომ განხორციელება არ მოელოდა, ამას აღ-

ბათ თვით მოძღვარიც გრძნობდა, ამიტომაც მან ხვეწნას და ფიცს მიმართა, რომ მსმენელთა გული მოელბო: გეფიცებით, ჩვენ, მამაკაცებს, სამაგისო არა გვაქვს რა, ჯიბრში ნუ გვიდგეხართ „ნუ ცდილობთ გამამაკაცებასო. დროზე ბ. პლებს საკადრისი პასუხი მისცეს. ამ პასუხმა ეგონებთ სამუდამოთ დაუკარგა სურვილი და მადა მოძღვრებისა. ბ. პლებსი რომ პლებსისებურ მოძღვრებას მოგვაწვდიდა, ეს ჩვენ წინდაწინვე ვიცოდით. ძველი რუმბი რომ ახალი ღვინისთვის არ ვარგა, ეს ვინ არ იცის. სამწუხარო და ჩასაფიქრებელი ის არი, რომ ბ. პლებსის მიმდევარნი ქართველ განათლებულ ახალგაზრდათა შორისაც ყოფილან. თუ იჭვი გაქვთ ამ ამბის სინამდვილეში, წაიკითხეთ ბ. ე. ვაშაკიძის წერილი: „დედათა კითხვა თანამედროვე მეცნიერების წინაშე“ მოამბე № XI, და დაიჯერებთ. რომ ერთი განსხვავება არ არსებობდეს ბ. პლებსსა და ბ. ვაშაკიძეს შორის, ვიფიქრებდით, რომ ბ. ვაშაკიძე ნამდვილი მოწაფეა ბ. პლებსისა. როგორცა ვთქვით ბ. პლებსი უფრო ქადაგებდა, ვიდრე ამტკიცებდა თავისი მოძღვრების ჭეშმარიტებას; უფრო გვთხოვდა, გვემუდარებოდა, ვიდრე ბრძანებლობდა. ბ. ვაშაკიძე სხვა გვარათ მოქცეულა. მას საბრალო ქართველი ქალები წაუყენებია თანამედროვე მეცნიერების წინაშე. უტყუარი და შეუბრალებელი მეცნიერება კი ბ. ე. ვაშაკიძის ბაგით უცხადებს ჩვენ ქალებს, თუ რაშია მათი ჭეშმარიტი დანიშნულება. წარმოიდგინეთ საკვირველება: მეცნიერებაც სწორეთ იმასვე ლაპარაკობს ბ. ე. ვაშაკიძის ბაგით, რასაც გვასწავლიდა ბ. პლებსი. ჩვენი ქალების სარბიელი მადლიანია, თუ ამ სარბიელზე მოისურვებენ იგინი მოღვაწეობას. ეს სარბიელი ჩვენი ოჯახია, ოჯახის გასპეტაკება—ენისა და ზნეობის მხრივ, რიგიანი ზნე-ჩვეულების განმტკიცება, უბრალოთ ფლანგვის შეჩერება და ამ ნაირათ ოჯახის ეკონომიურათ აყენება, ბავშების რიგიანათ აღზრდაა.. მის წინააღმდეგ ლაპარაკი, რასაც მეცნიერება გვიმტკიცებს, დიდი ჯიუტობა და უვიცობაა. ამიტომაც ვერას ვიტყვით ბ. ვაშაკიძის წინააღმდეგ, რადგან მისი ბაგით თვით თანამედროვე მეცნიერება ღაღადებს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ დედათა კითხვა ისეთ კითხვათაგანია, რომელსაც ათას გვარათ ზომენ და ჭრიან სხვა-და-სხვა მეცნიერნი თანამედროვე მეცნიერების სახელით. ზოგი გვეუბნება: ქალების დანიშნულებაა ჯანსაღი შთამომავლობა მისცეს და აღუზარდოს საზოგადოებას; ეს თვით ბუნებამ დაავალა ქალს და ამ პირდაპირი მოვალეობის აცდენა მომაკვდინებელი ცოდვაა ქალისთვის. ეს მოვალეობა შესაძლოა აღასრულოს ქალმა მხოლოთ ოჯახში; გარეშე ოჯახისა, თვის უმთავრეს როლს ქალი ვერ შეასრულებს. არის თუ არა პოლიტიკური უფლება ქალისთვის საჭირო? რაკი გამოარკვიეთ დანიშნულება ქალისა, პასუხი თავის თავათ ცხადია: ოჯახში მოსაბუდრებისთვის და ბავშების შობა-აღზრდისათვის არავითარი პოლიტიკური უფლებები საჭირო არ არი. ეკონომიური დამოუკიდებლობა? რა სათქმელია! ეს მამა კაცის საქმეა. ისიც კმარა, თუ დედაკაცი მოუვლის იმას, რასაც მიაწვდიან, იმან მხოლოთ თავდარიგი უნდა მისცეს კაცისაგან შენაძენს და მოპოებულს. სწავლა-განათლება? ეს რასაკვირველია საჭიროა, მაგრამ არც იმდენათ მაინც და მაინც. აქაც ქალისთვის სფერა შემოსაზღვრულია მისი უმთავრესი დანიშნულებით. ქალმა უნდა იცოდეს იმდენი, რამდენიც საჭიროა ბავშის ხეირიანათ აღზრდისათვის, უნდა იცოდეს ანგარიში, რომ უთავბოლოთ არ გაიბნეს ქონება; არ იქნება ურიგო თუ სამზარეულო წიგნი აქვს წაკითხული; ასე ქადაგებენ ზოგიერთნი მეცნიერნი (უმეცრებზე ხომ ლაპარაკი არ ღირს). ზოგი სულ სხვას გვიმტკიცებს. ამათი აზრით ქალი მართლა მარტო დედალსაც არ უნდა წარმოადგენდეს; ქალს, როგორც გონიერ არსებას, კიდევ სხვა ბევრი დანიშნულება აქვს, მან სხვა სფერაშიაც უნდა იმოქმედოს და წვლილი უნდა შეიტანოს ცხოვრებაში; ამიტომაც მისთვის საჭიროა პოლიტიკური უფლებებიც, ეკონომიური დამოუკიდებლობაც, თანაბრობაც და სხვა. ისტორიკოსი ბოკლი იმ აზრისა იყო, რომ მომავალში ქალები წასწევენ წინ მეცნიერებას, რადგან მათ დედუქტიური ნიჭი აქვთო. ზოგი კი გვიკიჟინებს: სად მეცნიერება, სად ქალის გონება, რას ამბობთ, რას მიედ-მოედებითო. ასე და ამ გვარათ. ერთი ერთს გვეუბნება, მეორე მეორეს, ეს ამას, ის იმას! როდესაც ასეთნაირათ დავთრების აბნევას ხედავთ მოძღვართა შორის, უნებლიეთ იჭვი გებადებათ, დაეკითხებით თავს: რა მიზეზია, რომ საბრალო დედათა კითხვას ყველა თავისებურათ ათამაშებს, ყველას თავისებურათ ესმის? ორში ერთია: ან თვით ის მეცნიერება ცდება, რომლის სახელითაც ღაღადებენ ჩვენი მოგვნი, ან და ეს მოგვნი ამახინჯებენ მეცნიერებას. უკაცრავათ არ ვიყოთ და ჩვენ სწორეთ უკანასკნელი აზრისა ვართ. ამავე აზრისა ვართ ჩვენ ახლათ მოვლინებულ მოძღვარზე ბ. ე. ვაშაკიძეზედაც. ერთათ ერთი ხსნა ამ შემთხვევაში ის გახლავთ, რომ ჩვენც ჩვენ რიგზე მოძღვარ-მასწავლებელნი წავაყენოთ თანამედროვე მეცნიერების წინაშე, რათა ამ მეცნიერებამ დასდვას მსჯავრი მათ მოძღვრებას. ამ ხანათ ჩვენ ვთხოვთ წარმოდგეს წინაშე მეცნიერებისა ბ. ე. ვაშაკიძე.

„თუ დედა-კაცი თანასწორია მამა-კაცთან ნიჭის მხრით, რათ არ არიან მაშ ისინი თანასწორნი პოლი-

ტიკური და ეკონომიური უფლებით“? აი უმთავრესი კითხვა, რომლის გადაწყვეტა უკისრნია ჩვენ ავტორს. თუ ეს კითხვა რაგიანათ გადაწყდა, მაშინ დანარჩენი თავის თავათ ცხადი იქნება. როგორ წყვეტს ბ. ვაშაკიძე ამ უმთავრეს კითხვას? მკითხველი ხედავს, რომ ეს კითხვა კითხვაც არი და პასუხიც. ავტორი იმ გვარათ იძლევა კითხვას, რომ პასუხი თავის თავათ საგულისხმოა, ცხადია. დედა-კაცი რომ მამაკაცთან ეკონომიური და პოლიტიკური უფლებით თანასწორი არ არი, ეს ხომ ყველამ ვიცით. რა არის ამის მიზეზი? ნიჭის მხრით უთანასწორობა! თუ რომ იგინი ნიჭით თანასწორნი იყვენ, მაშვინ ეკონომიური და პოლიტიკური უფლებითაც სწორნი უნდა იყვენ, მაგრამ რა კი ეკონომიური და პოლიტიკური უფლების მხრივ არსებობს სრული უთანასწორობა, ეს შედეგია მამა-კაცის და დედა-კაცის ნიჭის უთანასწორობისა. მაშასადამე ნიჭის უთანასწორობა არი პირდაპირი, უახლოესი მიზეზი სხვა-და-სხვა გვარი უთანასწორობისა. ამას გვასწავლის თანამედროვე მეცნიერება ბ. ე. ვაშაკიძის პირით.

დავეკითხოთ ახლა მეცნიერებას პირდაპირ, ვნახოთ რას გვეტყვის ის, ბ. ვაშაკიძემ კი მოისმინოს პასუხი. მეცნიერება გვიმტკიცებს, რომ ნიჭით თანასწორობა კი არ არი მიზეზი ან პირობა ეკონომიური და პოლიტიკური უფლებით თანასწორობისა, პირიქით, კაცთა საზოგადოებაში უმთავრესი მიზეზი, აუცილებელი პირობა ნიჭის, გონების, ძალის უთანასწორობისა პოლიტიკური და ეკონომიური უთანასწორობაა. ეკონომიური და პოლიტიკური თანასწორობა კი ხელს უწყობს და ეხმარება შესუსტოს განსხვავება, უთანასწორობა ნიჭის მხრით, ცოდნით, განათლებით, რომელიც არსებობს სხვა-და სხვა წოდებათა, კლასთა და სქესთა შორის. ამას ცხადათ ამტკიცებს მთელი ისტორია. ეს უძირითადესი და უმთავრესი ჭეშმარიტებაა თანამედროვე საზოგადოებრივი მეცნიერებისა. რომელი საზოგადოება, ერი, ხანა გნებავთ გაშინჯეთ, დააკვირდით და დაინახავთ, რომ სწორეთ ის ნაწილი საზოგადოებისა მდგარა და დგას ცხოვრების სათავეში, რომელსაც ხელთ ჰქონია ეკონომიური და პოლიტიკური უფლებანი. რამდენათაც უფრო მეტია და თვალ საჩინო ეკონომიური და პოლიტიკური უთანასწორობა, იმდენათ მეტი უთანასწორობა არსებობს სხვა მხრივაც წოდებათა, კლასთა და სქესთა შორის. ველურ ხალხებში, სადაც შედარებით მცირედია, ან სულ არ არი პირველ გვარი განსხვავება, ჩვენ თითქმის სრულიად ვერ ვამჩნევთ უთანასწორობას ნიჭით, ცოდნით და სხვა... დააკვირდით ძველ დროს, მონობის ეპოქას. აქ სხვა-და-სხვანაირი უთანასწორობა შეეფერება ეკონომიურ და პოლიტიკურ უთანასწორობას. ერთი მხრით დგას ყოველგვარი უფლების მქონე უფალი, მეორე მხრით პირუტყვათ ქცეული მონა. ერთი განაგებს ცხოვრებას, სარგებლობს მისი ნაყოფით, მეორე აუტანელ შრომის უღელში გაბმული მუდმივ შიმშილში და გონების წყვდიადში ატარებს სიცოცხლეს. ერთს დროც აქვს, საშვალებაც, ტვინიც ავარჯიშოს, ჭკუაც, გონებაც და ენაც; მეორეს არც ერთის საშუალება არ აქვს. ერთისთვის მზათაა ყველაფერი, მეორისთვის მხოლოთ მომზადება, სხვისთვის შრომა, სხვისთვის ოფლის ღვრა. ამასვე ვხედავთ საშუალო საუკუნეში, ბატონ-ყმობის დროს. ამაშია მიზეზი, რომ მონა, ყმა ვერ იჩენს ისეთ ნიჭს, ვერ ტოვებს გონების კვალს კაცობრიობის კულტურაში, როგორც ეკონომიური და პოლიტიკური თავისუფლების მქონი უფალი და ბატონი. ახალი დრო იწყება ბურჟუაზიის ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლით. ახლა იგი ხდება ცხოვრების მეთაური, ის უდგია ახალ კულტურას სათავეში, იმას მიჰყავს მეცნიერება და ხელოვნება წინ, რადგან მას, მდაბიურათ რომ ვთქვათ, ქვაც ხელთ აქვს და კაკალიც. მუშა კი, ქონებრივათ და პოლიტიკურათ დაჩაგრული, შორს დგას მეცნიერებიდან და ხელოვნებიდანაც. რამდენათაც უფრო განვითარებულია ბურჟუაზია, რამდენათ უფრო მეტ ნიჭს იჩენს იგი, იმდენათ უფრო დახშულია გონება მუშისა. ამ მხრით საზოგადოება მართლაც ერთ ორგანიზმს წარმოადგენს: თუ ერთი ორგანო მეორის ანგარიშზე ვითარდება, პირველი სუსტდება, მეორე ძლიერდება. დრო გადის, მუშა ხალხი, დიდი ბრძოლით და ვაივაგლახით ოდნივ მაინც აუმჯობესებს თავის ნივთიერ მდგომარეობას; ცოტა მასაც ეძლევა პოლიტიკური უფლება. საკმაოა ესეთი ცვლილება, რომ ბურჟუაზიამ დაიწროს ყოველ მხრივ, პროლეტარიატმა კი თავი იჩინოს. დღეს პროლეტარიატი იჩენს ნიჭსაც, განათლების სურვილსაც და ისეთ ზნეობრივ ძალას, რომლის წინაშე ქრთის ზნეობრივი მხარე სხვა წოდებათა. ბებელნი ისეთივე შეუძლებელი მოვლენა იყო ძველ დროში, როგორც ძველ დროის მონები დღევანდელ ცხოვრებაში. მაშასადამე თქმულება: Mutantur tempora et nos mutamiur in illis, ამ შემთხვევაში ასე შეგვიძლია გადავაკეთოთ: იცვლებიან ეკონომიური და პოლიტიკური უფლებანი და მათ შიგან ვიცვლებით ჩვენც ჩვენი ნიჭით, ცოდნით, გონებით...

ოლ — დ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბიბლიოგრაფია.

(მოამბე; 1898 წ., № 1.)

გარეგნობით ეს პირველი ნომერი ისეთივე სქელია, როგორც წინა წლების ნომრები. რაც შეეხება შინაარსს, ამ მხრით იგი უმიმართულებო „მოამბის“ სრული განხორციელებაა. მე ვერ დავასახელებ მეორე ისეთ დრო-გამოშვებით გამოცემას, რომელიც „მოამბესავით“ სისტემატიურათ დევნიდეს და თანაც უფრთხოდეს პუბლიცისტიკას და კრიტიკას, რაც საზოგადოთ აძლევს ჟურნალ-გაზეთობას ასეთ თუ ისეთ მიმართულებას და ელფერს. შესანიშნავი აქ ის არის, რომ ამ დევნაში „მოამბე“ სულ უფრო და უფრო წინ მიდის. წინა წლებში მაგ. მასში პუბლიცისტიკასაც შეხვდებოდა ხოლმე მკითხველი; დღეს კი იგი სრულიად განდევნილია მისაგან. აბა, რა დრო-გამოშვებითი გამოცემა უნდა იყოს ის რომელშიაც არა თუ არავითარი პუბლიცისტური წერილი არ არის, არამედ საშინაო და საგარეო საქმეების უბრალო მიმოხილვასაც კი ადგილი არა აქვს? ალბათ ჟურ. „მოამბის“ მეთაურები ჰფიქრობენ, რომ ეს მათი საქმე როდია. მათი აზრით, ამეებზე წვრილფეხა ჟურნალ-გაზეთებმა უნდა იხეთქონ თავ-პირი; ისინი კი, თუნდ ქვეყანა ერთიანათ დაიქცეს, ამაზე კრინტსაც არ დაძრავენ. და მართლაც ისინი ხომ მშვიდი, დინჯი და სერიოზული ხალხია და როგორც ასეთებს, მათ არ შეჰფერის თანამედროვე მწვავე კითხვებზე სჯა-ბაასი, სადაც მიუცილებლათ უნდა შეეხოთ ან მთელ კლასებს და ან კერძო პირებს და სხ. ისინი სრულიად გულ-გრილათ უცქერიან ყოველსავე იმას, რაც ამ ჩვენ ცოდვილ ბინაზე ხდება, თითქო ყოველივე ეს სინამდვილე ძრც კი იყოსო. მაგრამ ეტყობა ძნელი ყოფილა ამის სავსებით ასრულება. მართალია „მოამბემ“ პუბლიცისტიკას უარი განუცხადა და თითქმის სრულიად განდევნა მაგრამ სამაგიეროთ პუბლიცისტურმა კითხვებმა, მეთაურების დაუკითხავათ, „მოამბისავე“ ბელლეტრისტიკაში წამოჰყვეს თავი. პირველ ნომერში ბ ნ ზურაბიშვილის პატარა „ეტიუდითურთ“ („ჰთოვს“) ხუთი ბელლეტრისტული ნაწარმოებია; ორ იმათგანს („ამირანის შვილნი“ და „გლეხი-კაცის ისტორია“) ჩვენ აქ არ შევეხებით, დანარჩენებში პირველი ადგილი, უეჭველათ, ბ-ნ დავ. კლდიაშვილის სურათს „მრევლში“ უჭირავს. ავტორს ეტყობა ღრმა დაკვირვება და იმერეთის სოფლის ცოდნაც. სასიამოვნოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ-ნი კლდიაშვილი ჩვენ ბელლეტრისტებში ყველაზე უფრო რეალურ მიმართულებას მიდევს. რაც შეეხება ამ ახალ ნაწარმოებს, ჩვენ მასში ერთი დიდი ნაკლულევანება შევნიშნეთ: ავტორს ნდომებია ერთი სურათის დახატვა, მაგრამ ერთის მაგიერათ სამი სხვა-და-სხვა სურათი წარმოგვიდგინა, რომლებსაც ერთმანეთში შემაერთებელი კავშირი არა აქვს. ყველაზე უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე უკანასკნელი სურათი, სადაც ავტორი მოგვითხრობს მოხუცებული დედა-კაცის (ანუსიას) ქალ-ვაჟის სიკვდილზე. როგორც ეტყობა, ავტორს უფრო ახალგაზდა სემინარიელი მღვდლის გაჭირვებული მდგომარეობა ჰქონებია მხედველობაში; მაგრამ ჩემი აზრით, ეს სინამდვილეს მოკლებულია, და მიტომაც მკითხველზედაც არ ახდენს შთაბეჭდილებას.

ბ-ნ პავლე ყიფიანსაც თანამედროვე საჭირ-ბოროტო საგნისთვის მიუქცევია ყურადღება („მუნჯური მეტოდი“). ყველამ უწყის, თუ რა განსაცდელში აყენებს როგორც მოსწავლეებს ისე მასწავლებლებსაც კარგათ ცნობილი უკულმართი (მუნჯური) მეთოდი. ბ-ნ ყიფიანს განუზრახავს მოთხრობის ფორმით დაეხატა მკითხველისთვის „მუნჯური მეტოდის“ უმსგავსოება. სამწუხაროთ, ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ავტორს სავსებით შეესრულებინოს ეს მიზანი. ბ-ნ ივ. ზურაბიშვილის ეტიუდიც ძლიერ სუსტია. საზოგადოთ ამ ნაირი ეტიუდების წერა გავრცელებულია ჩვენში და ვნახოთ რა გამოვა.

ამ პირველ ნომერში არის კიდევ ერთი წერილი, რომელიც დიდათ საყურადღებოა, უფრო საყურადღებო ვინემ ყველა დანარჩენი წერილები. მე ვამბობ „აფხაზეთის ახ: ომენებზე.“ აქ თქვენ გაიგებთ ბევრ საინტერესო ამბებს, გაიგებთ, თუ 1864 წლიდან როგორ დაცალიერდა აფხაზეთი, შემდეგ როგორ დაესახლენ იქ მეგრელები და შეძლება შეიძინეს; შეიტყობთ აგრეთვე იმასაც, რომ იმათ გვერდზე სრულებით ვერ იხეირეს სხვა ტომის ხალხებმა, თუმც მთავრობა მათ დიდ შემწეობასაც აძლევდა; შეიტყობთ კიდევ, რომ „მეგრელებით დასახლებულ სოფლებში წირვა-ლოცვა მრევლის სურვილის წინააღმდეგ სლავიურათ სრულდება, და არც სკოლებში ასწავლიან ქართულ წერა-კითხვას“ და სხ.

არის კიდევ აქ ერთი მცირე წერილი, სახელდობ ნეკროლოგი ილია ოქრომჭედლიშვილზე, რომლის შეუნიშნავათ დატოვება არ შეიძლება, ვინაიდან იგი მრავალ ეჭვს ბადებს მკითხველში. „მოამბე“ სამართლიანათ აღნიშნავს რა, რომ განსვენებული ილ. ოქრომჭედლიშვილი „დაუშურებლივ შველოდა ყოველს ჩვენს დაწყებულებას“, ამბობს, რომ ოქრომჭედლიშვილმა დაიწყო „უმაგალითო (?) ჯერეთ ჩვენში საქმეო.“ მაგრამ ყველამ იცის, რომ ეს საქმე ხე-ტყის ექსპლოატაცია იყო, ე. ი. წარმოება

კაპიტალისტურ ნიადაგზე, რაც, რასაკვირველია, პირველათ ოქრომჭედლიშვილს არ შემოუტანია ჩვენში. მაგრამ უფრო ყურადღების ღირსი აქ ის გარემოებაა, რომ კაპიტალისტური წარმოების შემოტანას ჩვენში ხელის აპყრობით ეგებებიან ისინი, ვინც იმის წინააღმდეგ საბრძოლველათ ამას წინეთ დიდძალ ტყვია წამალს ამზადებდა!

მკითხველი.

## რა მოუვა სოსიკას.

(მოთხრობა ქართლის ცხოვრებიდან)

### IV

განათდა ქვეყნიერება. მთელ არე-მარეში სიჩუმეა. ვარსკვლავები ზოგი გამქრალან და ზოგი კიდევ ჰქრებიან. აგერ დაუკარგავს მთვარესაც შუქი და მოჩანს ისე, როგორც არა მნათობი საგანი; თითქო რცხვენია სინათლისაო, ისე ცდილობს მალე გადაიმალოს მთას გადაღმა. ეჰეე, —მზემ წვერი ამოჰყო და გაანათა თოვლით დაფენილი მთის მწვერვალები. რამდენათაც მაღლა-მაღლა მოცურავს ცაზე მზე, იმდენათ დაბლა-დაბლა იწევიან მთების მწვერვალები და ან მზის სხივები. აგერ ამოვიდა ნახევარ შუბის ტარზე მზე და თანასწორათ მოეფინა მისი სხივები მთელ არე-მარეს.

აგერ მზე აწვდის თავის შუქსა და სითბოს სოსიკოსაც, რომელსაც დაუჭერია იღლიაში ჯოხი, ჩაუყვია უბეებში ხელები და დუქნის კარებთან ელოდება აბრამს. -გამოჩნდა აბრამი და თან ერთი ვილაც უკან მოსდევდა.

— აბა სოსიკო, რამდენს ვეწვალები შენი გულისთვის; შენ რომ ჩემი სიკეთე არ დაინახო, განა ხელს მოგიმართავს ღმერთი?! თამასუქის ქაღალდი გიშოვე, მწერალი მოვიყვანე და ფულიც თან მოვიტანე. შევიდეთ დუქანში და დავწეროთ „ვექსილი."

სამივე შევიდა, აბრამის სავაჭრო დუქანში. იქ აბრამმა დაუდგა მწერალს ხის ჯირკი და თხოვა ზედ ჩამომჯდარიყო; მერე მიუდგა წინ დიდი ხის ყუთი, დააწყო ზედ საწერ კალამი, საანგარიშო წიგნი, დასაწერი თამასუქის ქაღალდი და უთხრა მწერალს:

— აბა, ბატონო, ისე დაწერეთ ვექსილი, როგორც გითხარით.

— როგორ, კიდევ შენსას გაიძახი?! ცოდვაა აბრამ, „ქათამი, რო წყალს დალევს, ღმერთს შეხედავს"-ო, ხომ გაგიგონია! —უთხრა საყვედურის კილოთი მწერალმა.

— აბა რა ვქნა, თითონ მაგანაც იცის, რომ მე სხვანაირათ არც გამივალებია და არც გაჭირვებია. —უთხრა აბრამმა და თან ხელით აჩვენა იქავ კედელთან აყუდებულ სოსიკაზე. მწერალმა შეხედა სოსიკას და ჰკითხა:

— შენი სახელი ძმობილო?!

— სოსიკო ურკვეველაშვილი—უპასუხა მძიმეთ სოსიკამ. მწერალმა ცოტა ფიქრს შემდეგ ჰკითხა სოსიკას:

— სოსიკო! ყაბული გაქვს ისე დავწერო ვექსილი, როგორც აბრამი მეუბნება?!

-- ყაბულსა ვარ შენი ჭირიმე.

— მერე იცი როგორ მეუბნება?!...

— არ ვიცი, მაგრამ.....

— აი, როგორ მეუბნება,—დაიწყო მწერალმა —ორ თუმანს გაძლევს ექვსი თვის ვადით და ვექსილში უნდა დავწეროთ ხუთი თუმანი.

ამ დროს გამოექანა აბრამი სოსიკასკენ, დაადვა მას მხარზე ხელი და უთხრა:

— ხო სოსიკო, ხუთ თუმანს დავწერთ ვექსილში და ორი თუმნის სარგებელი ყოველ თვე ნახევარ კოდი წმინდა პური უნდა მაძლიო ჩემი ჩანახით; თუ იშოვი ფულს, მომცემ, თუ არა და სარგებელს მომცემ და თავნი ისევ შენთან იყვეს.

სოსიკოს ეშინოდა აბრამმა ფულის მოცემაზე უარი არა თქვასო ẟ როდესაც მოშორდა აბრამი, მწერალს დაუწყო ხვეწნა: „დაწერე, შენი ჭირიმე, თორემ ისინი რო გამიყიდონ, ცოლ-შვილიანათ ამოვწყდები.!"

მწერალმა აილო ვექსილი, გაიქნია თავი და დაიწყო წერა.—ამ დროს აბრამი ეყუდა დახლს და ხან მწერალისკენ იყურებოდა, ხან სოსიკოსკენ.—სოსიკო იდგა კედელთან, შეცქეროდა მწერლის კალმის ფხაკა-ფხუკსა და თან ფიქრობდა: „ჰეი, რა არის სწავლა", ახლა ე მწერალმა რო მოინდომოს, აი, პატარა კალმით მთელ ქვეყანას გადააბრუნებს, თუნდა ამოწყვეტამს ჩვენითანა უსწავლელებსა და თუნდ აცოცხლებს....

ამ დროს გაათავა მწერალმა ვექსილის წერა და დაიწყო ხმა მაღლა კითხვა: ათას რვაას ოთხმოცდაათსა წელსა გიორგობისთვის X-სა დღესა ავიღე ვალათ ექვსი თვის ვადით ორმოცი მანეთი თეთრი ფული, მე გორის უეზდის სოფ. ბლუეთში მცხოვრებელმა სახელმწიფო გლეხმა, სოსიკა სო—ძემ ურკვეველაშვილმა; შენ ისრიელ სოფ. ქ-ში მცხოვრების აბრამა დ—ძე კაკ—საგან. მოვალე ვარ მე სოსიკა ურკვეველაშვილმა ნაღდათ ჩაგაბარო ორმოცი მანეთი თეთრი ფული, ექვს თვეს შემდეგ, პირველ მოთხოვნაზე, რომელიც მივიღე ნაღდათ შენ აბ-

რამა კაკ—სგან. რადგანაც სოსიკამ წერა არ იცის ხელს ვაწერ ამისავე თხოვნით და ხელის ჩამორთმევით: გ. კეთილაძე. ვამოწმებ ამ ვექსილს სახელმწიფო ბეჭდის დასმით მე ქ—ს მამასახლისი და სხვა.

აბრამმა რო გაიგონა, ოთხი თუმანი დაუწერია ვექსილში მწერალსა"-ო, ასე უსაყვედურა:

— რა გიქნიათ, ბატონო, რატომ ხუთი თუმანი არ დაწერეთ ვექსილში!, რამდენჯერაც დამიწერინებია თქვენთვის ვექსილი, ერთხელაც არ დაგიწერიათ ჩემ ნებაზე. განა არა, არ უნდა დამეწერინებინა თქვენთვის—მაგრამ კიდევ მოვტყუვდი.

— კარგი, აბრამ, თუ ღმერთი გრწამს,—ერთი ორათ დავწერე და სხვა რა გინდა. შემდეგ მიუბრუნდა მწერალი სოსიკას, გაუწოდა დაწერილი თამასუქი და უთხრა: აჰა, სოსიკა, ეს ვექსილი და როცა მოგცეს აბრამმა ფული, მაშინ მიეცი.

— მიეცი შენი ჭირიმე აბრამსა, ვენდობი.

— ეს ჩემი საქმე არ არის; მე შენ მოგცემ და გინდა მიეცი გინდა არა; და ძალათი ხელში მიაჩეჩა მან სოსიკას თამასუქი, გამოემშვიდობა ორივეს და გავიდა გარეთ.

სოსიკამ მიაწოდა აბრამს ვექსილი და უთხრა:

— აჰა, ვექსილი, აბრამ, და მალე მომეც ფული, ნუღარ დამაგვიანებ, შენი ჭირიმე, გუშინაც დამიგვიანდა და წუხელი კინაღამ სიცივით გავწყდით უცეცხლო სახლში.

აბრამმა ჩამოართვა სოსიკოს ვექსილი და უთხრა:

— შენ გგონია დამტკიცდა ეს ვექსილი?!. ამას ბეჭედი უნდა და ხელიც უნდა მოაწერონ ზედ მოწმებმა.

— მომეცი ე ფული და განა მერე ვერ დაამტკიცებენ!

— უფულოთ ხომ ვერ წახვალ სახლში, სანამ ფული მომივა, მანამ, შევამოწმებინებთ ამ ვექსილს.

როდესაც აბრამმა დააკვრევინა ვექსილზე მამასახლისს კრუჟკაზე გამურული სახელმწიფო ბეჭედი, მოაწერინა რამდენსამე კაცს ზედ ხელი, დაკეცა ვექსილი, ჩაიდო ჯიბეში, შევიდა მერე ოთახში და გამოვიდა ისევ მალე; ამოიღო ჯიბიდან ფული, დათვალა ცხრამეტი მანეთი და ათი შაური და მისცა სოსიკოს. სოსიკამ მიითვალა ფული და უთხრა აბრამსა:

— ათი შაური რო აკლია!?.

— ათი შაური დასაბეჭდია და ვექსილის დასაწერი კიდევ შენთან იქნება... ორჯელ სამჯელ გამონასკვა სოსიკომ ხელსახოცის ყურში ფული, ჩაიდვა ჯიბეში და გაეშურა სახლისკენ.

ძნელი წარმოსადგენია, მკითხველო, ამ დროს სოსიკას მდგომარეობა. სოსიკა რაღაცა სისუბუქესა და სიამოვნებასა გრძნობდა, ვინ იცის რას არ ფიქრობდა ამ დროს სოსიკა, მაგრამ რომ გეკითხათ, სიტყვებით ვერ გამოთქვამდა თავის სიხარულს. ფიქრობდა: ვიტყვით ურია ურჯულოაო! მაგრამ ურჯულო კი არა, ჩვენა ვართ გაუგებარი და ხეტები; რომელი ქრისტიანი გამიმართავდა ამ გაჭირვების დროს ხელს! ახლა რო ამ ფულით გამოვიხსნი ჩემ ნარბევს და მტრის გულისათ არ გავხდები, ის რათა ღირს! ბევრს შეშურდება, მაგრამ ღმერთია მოწყალეა. —ფიქრობდა ასე სოსიკა და თან გზას ეშურებოდა.

(შემდეგი იქნება)

## რედაქციისაგან

„კვალის“ მე-51 ნომერში დაისტამბა ბ. სეფისპირელის კორესპონდენცია ზესტაფონის ნორმალური სკოლის შესახებ. აქ ავტორი ბრალსა დებდა იმ სკოლის ზედამხედველს, ბ. იოსელიანს, აზნაურთა შვილებს ღებულობს მაშინ როდესაც ჯერ გლეხთა შვილები უნდა მიიღოს და მერე, თუ ადგილი იქნება, სხვა წოდებისაცაო. ახლა ბ. იოსელიანისაგან თავის გასამართლებელი წერილი მივიღეთ, რომელსაც უადგილობის გამო ვერ ვსტამბავთ, და თანაც დირექტორის მოწერილება წარმოადგინა. აქედან ვტყობილობთ, რომ ხსენებული სკოლა არ არის გლეხთა სკოლა, როგორც ეს სასოფლო სკოლებია, არამედ სახელმწიფო სკოლაა, სადაც ყველა წოდების შვილები მიიღება, გლეხებს - მხოლოთ უპირატესობა ეძლევათ, ასე რომ ბ. იოსელიანი სრულ უფლებაში იყო, როცა ის აზნაურთა შვილებსაც ღებულობდა და ასეთ მის მოქმედებაში ვერავითარ უკანონობას ვერ ვხედავთ. ამ საგანზე ამიერიდან ვსპობთ ყოველსავე პოლემიკას.

## ამ ნომერში ნახმარი საჭირო უცხო სიტყვების ახსნა

ატმოსფერა — ჰაერი; აგიტაცია - ამოძრავება; ბიურო — კანტორა; ბრიკეტი — აგურის ყალიბში ჩამოსხმული ქვა-ნახშირი; დემოკრატია — ხალხის უფროსობა; დეპო — საწყობი; ეტიუდი — ცდა; კანტროლი — შემოწმება; ორგანიზაცია — აგებულება; პრეზიდენტი — თავმჯდომარე; სფერა — წრე; სტატისტიკა — ციფრებით დასაბუთება; ფაქტი — ნამდვილი შემთხვევა; ცეხი — ამქარი.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

Доз. ценз. Тифлисъ, 31 Января 1898 г. Тип. М. Д. Ротиніанца — სტამბა. ი. დ. როტინიანცისა Гол. пр. д., № 41.